

**შევიდეს ცვლილება საბანკო მომსახურების პირობების 3.1.12 და 3.13.2.8 ქვეპუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**

- 3.12 **კლიენტის** მიერ **ოპერაციის, დავალების** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) SMS კოდით დადასტურება:
- 3.1.12.1 **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად **ბანკი** უფლებამოსილია შესთავაზოს **კლიენტს, კლიენტის** ხელმოწერის ნაცვლად **ოპერაციის, დავალების** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) SMS კოდის საშუალებით დადასტურება, რაც გულისხმობს, რომ:
- 3.1.12.1.1 **ბანკი, კლიენტის** მიერ დასახელებულ/წინასწარ განსაზღვრულ მობილური ტელეფონის ნომერზე, **კლიენტს** გაუგზავნის შესაბამისი **ოპერაციის, დავალების** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) მონაცემს (მონაცემი განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ) და SMS კოდს;
- 3.1.12.1.2 **კლიენტის** მიერ SMS კოდის **ბანკისათვის** მიწოდებით (SMS კოდს **კლიენტი ბანკის** შესაბამის თანამშრომელს მიაწვდის ზეპირად) **კლიენტის** მიერ დასტურდება, რომ იგი სრულად გაეცნო შესაბამის **ოპერაციას, დავალებას** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტს (მათ შორის გარიგებას) ეთანხმება მასში მოცემულ პირობების/ინფორმაციის სისწორეს და სურს აღნიშნული **ოპერაციის, დავალების** შესრულება ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) გაფორმება/შედგენა;
- 3.1.12.1.3 გაგზავნილი SMS კოდის **კლიენტის** მიერ დასახელების შემთხვევაში, **ბანკი** განახორციელებს SMS კოდის პროგრამულ უზრუნველყოფაში შეყვანას და **ოპერაციის, დავალების** ან/და დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) გაფორმებასთან დაკავშირებული პროცესის დასრულებას;
- 3.1.12.1.4 **ოპერაციის, დავალების** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) SMS კოდით დადასტურება **მხარეთა** შორის ურთიერთობებში უთანაბრდება **კლიენტის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერას;
- 3.1.12.1.5 SMS კოდის საშუალებით დასადასტურებელი **ოპერაციის, დავალების** ან/და დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) ჩამონათვალს/სახეებს განსაზღვრავს **ბანკი** საკუთარი შეხედულებისამებრ;
- 3.1.12.1.6 **ოპერაციის, დავალების** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) SMS კოდით დადასტურებისას, **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი კლიენტს** უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტით;
- 3.1.12.2 **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი იმ შესაძლო ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა დადგეს იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის** მიერ დასახელებული/წინასწარ განსაზღვრული იქნება ის მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზეც SMS-ის გაგზავნამაც შესაძლოა გამოიწვიოს აღნიშნული ზიანი/ზარალი.
- 3.13.2.8. **პირგასამტეხლო** ათვისებული **კრედიტის** თანხ(ებ)ის ან/და მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის: ვადაგადაცილებული თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (სმს სესხისა და სმს განვადების შემთხვევაში დამატებით: პირველი ვადაგადაცილებული დღისათვის ერთჯერადად 10 ლარი (თუ **კრედიტი** გაცემულია სხვა ვალუტაში - 5 ერთეული შესაბამის ვალუტაში).